დამტკიცებულია:
წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ
დადგენილება # MES 0 25 0000686008 (17/06/2025წ.)
ოქმი N4

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალის კონკურსის გზით შერჩევის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) დამხმარე პერსონალის კონკურსის გზით შერჩევის წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს და არეგულირებს უნივერისტეტში დამხმარე პერსონალის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადებისა წესსა და პროცედურას და მათთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.
2. კონკურსის მიზანია უზრუნველყოს სამუშაოს მოთხოვნებთან ადეკვატური უნარ-ჩვევების, ცოდნის, გამოცდილებისა და ღირებულებების მქონე ადამიანთა შერჩევა.

3. კონკურსი შეესაბამება კომპეტენტურობის, პროფესიონალიზმის, გამჭვირვალობის, თანასწორობის, დისკრიმინაციის აკრძალვის და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

მუხლი 2. კონკურსის გამოცხადება

1. კონკურსი ცხადდება რექტორის ბრძანებით.

2. კონკურსის პირობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, საბუთების ჩამონათვალი და ვადები დგინდება ინდივიდუალურად შესარჩევი პოზიციის თავისებურებებიდან და უნივერსიტეტის საჭიროების გათვალისწინებით და ეთითება გამოქვეყნებულ განცხადებაში.

3. კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია, საკონკურსო დოკუმენტაცია, საკონკურსო განცხადებით განსაზღვრული პირობებისა და ვადების დაცვით წარმოადგინოს გამოქვეყნებულ განცხადებაში მითითებულ მისამართზე. კონკურსში მონაწილეობის შესახებ ვადის დარღვევით წარდგენილი განცხადება (დოკუმენტაცია) არ განიხილება.

მუხლი 3. საკონკურსო კომისია

1. საკონკურსო დოკუმენტაცია საბუთების მიღების ვადის ამოწურვის შემდეგ გადაეცემა საკონკურსო კომისიას, რომლის შემადგენლობაც (თავმჯდომარე, წევრები) განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.

2. საკონკურსო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც ამავე კონკურსში მონაწილეობს კონკურსანტის სტატუსით.

3. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

კომისია გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით. ხმათა გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

4. საკონკურსო კომისიის სხდომას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე. მის მიერ

მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, რექტორი ნიშნავს საკონკურსო

კომისიის ახალ თავმჯდომარეს.

5. საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმს ადგენს საკონკურსო კომისიის მდივანი რომელიც ირჩევა კომისიის შემადგენლობიდან. სხდომის

ოქმს ხელს აწერს საკონკურსო კომისიის მდივანი და თავმჯდომარე.

6. საკონკურსო კომისიის საბოლოო გადაწყვეტილებას ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი, მათ შორის, თავმჯდომარე და მდივანი.
7. საკონკურსო კომისიის სხდომა დახურულია.

8. საკონკურსო კომისიის ყველა წევრი ვალდებულია, დაიცვას კონფიდენციალობის პრინციპი და არ გაამჟღავნოს ინფორმაცია კომისიის მუშაობის შესახებ.

მუხლი 4. კონკურსის ეტაპები

1. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად:

ა) წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა-შერჩევა:

ბ) კანდიდატებთან გასაუბრების ჩატარება.

2. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია კომისიის გადაწყვეტილებით დაინიშნოს ტესტირება ან გამოყენებულ იქნას შერჩევის/შემოწმების სხვა მექანიზმები.

3. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვის ეტაპზე კონკურსანტს მოსთხოვოს წარმოდგენილ განაცხადში მითითებული ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტის/დოკუმენტების წარმოდგენა.

4. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია შეარჩიოს კანდიდატებთან გასაუბრების ფორმატი და, საჭიროების შემთხვევაში, გასაუბრება ჩაატაროს ელექტრონული საშუალებებისა და პროგრამების/პლატფორმების გამოყენებით.

5. გასაუბრების ეტაპზე, საკონკურსო კომისია წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე **(დანართი 1)** აფასებს თითოეულ კონკურსანტს.

6. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე შერჩეული კანდიდატი ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციით წარედგინება რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რის შემდეგაც პირი ინიშნება ვაკანტურ თანამდებობაზე და მასთან ფორმდება შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება.

7. კონკურსის შედეგები ეცნობება კონკურსში მონაწილე კანდიდატებს.

მუხლი 5. ვაკანტურ თანამდებობაზე არჩევის/დანიშვნის ან არჩევაზე/დანიშვნაზე უარის

თქმის გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. ვაკანტურ თანამდებობაზე არჩევის/დანიშვნის ან არჩევაზე/დანიშვნაზე უარის თქმის გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გასაუბრების შეფასების ფორმა

გასაუბრების თარიღი		პოზიციის დასახელება	

სახელი, გვარი	შეესაბამება შესასრულებელ სამუშაოს	აქვს კომუნიკაციის უნარი	აქვს მოტივაცია	აქვს ანალიტიკური აზროვნების უნარი	აქვს ინგლისური ენის კომპეტენცია [1][1]	ქულათა ჯამი	**კომენტარი**
კანდიდატი							

თითოეული კრიტერიუმი ფასდება 3 ბალიან სკალაზე, სადაც 3 მაქსიმალური შეფასებაა (3 - კონკურსანტი შეესაბამება განსაზღვრულ კრიტერიუმს, 2 - კონკურსანტი მეტწილად შეესაბამება განსაზღვრულ კრიტერიუმს, 1 - კონკურსანტი ნაწილობრივ შეესაბამება განსაზღვრულ კრიტერიუმს, 0 - კონკურსანტი არ შეესაბამება განსაზღვრულ კრიტერიუმს). კანდიდატმა უნდა დააგროვოს მაქსიმალურ ქულათა 70%. ქულების გამოთვლა ხორციელდება შემფასებლების მიერ დაწერილი ქულების საშუალო არითმეტიკულით.

საკვალიფიკაციო მოთხოვნებით გათვალისწინებული ინგლისური ენის ცოდნა. თუ საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, კონკურსანტს არ მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნა, შეფასების პროცესში მხედველობაში არ მიიღება გასაუბრების შეფასების ფორმით

განსაზღვრული ინგლისური ენის შეფასების კომპონენტი და ქულათა გამოთვლის დროს არ დაანგარიშდება აღნიშნული კომპონენტისთვის მინიჭებული ქულა.